საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1

ქ. თბილისი

3 თებერვალი 2012 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციულ კომიტეტს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-14 მუხლის „ბ" პუნქტის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ასარჩევად წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, მამია ფხაკაძის კანდიდატურას.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

ქ. თბილისი 3 თებერვალი 2012 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული კომიტეტი

## ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მამია ფხაკაძე არჩეულ იქნეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციულ კომიტეტს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად ასარჩევად წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, მამია ფხაკაძის კანდიდატურას.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2012 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ილონა თოდუა.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციულ კომიტეტს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ასარჩევად წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ილონა თოდუას კანდიდატურას.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 4

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 2012 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66-ე მუხლის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-14, 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგი თანდართული სახით (დანართი: №1);
2. კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მასალების მომზადება და კონფერენციის მონაწილეთათვის გაცნობა უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა;
3. კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

   1. ლაშა მაღრაძე;
   2. ირაკლი ართილაყვა;
   3. გულიკო ორთოიძე;
   4. ბაკურ ჯიშიაშვილი;
   5. მარიამ ცქიფურიშვილი;
   6. ნიკოლოზ მარგველაშვილი;
   7. რუსუდან სინჯარაძე;
   8. ლევან მიქაბერიძე;
   9. თამარ ყიფიანი.

კონსტანტინე კუბლაშვილი

*დანართი №1*

## საქართველოს მოსამართლეთა IX კონფერენცია

## (27 ოქტომბერი, 2012 წელი)

თბილისის საქალაქო სასამართლო

### დღის წესრიგი

რეგისტრაცია 11:00 – 12:00 სთ.

1. 12:00 – 12:20 სთ.
   კონფერენციის გახსნა და მისასალმებელი სიტყვა
   (კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე)

2. 12:20 – 12:30 სთ.
   საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიში
   (მომხსენებელი დიმიტრი გეგელია – საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე)

3. 12:30 – 12:40 სთ.
   საქართველოს საერთო სასამართლოების 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ პროექტის განხილვა
   (კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე)

4. 12:40 – 12:50 სთ.
   საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის წესის თაობაზე პროექტის განხილვა
   (კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე)

5. 13:00 სთ. – სადილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2012 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-15, 18-ე და მე-19 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

ბესიკ ბუგიანიშვილს შეუწყდეს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე